ბრძანება:**ბ44.442222029**
თარიღი:**08/08/2022**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში, უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში, უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადებული კონკურსის ჩატარება განახორციელოს ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის, კომისიის აპარატისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 5 აგვისტოს Nბ44.4422217112022 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში, უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს 2022 წლის 8 აგვისტოდან 2022 წლის 17 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო განცხადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების მისაღები, ქალაქი ქუთაისი, შოთა რუსთველის გამზ. N3.

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ,,ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის N36 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციის განაცხადს უნდა დაურთონ:

ა/ ცნობა საჯარო რეესტრიდან კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის და მისი ოჯახის წევრის საკუთრებად რეგისტრირებული ქონების შესახებ;

ბ/ ცნობა სამოქალაქო რეესტრიდან კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის და მისი ოჯახის წევრის რეგისტრაციის შესახებ.

გ/ ცნობა კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის და მისი ოჯახის წევრის ნასამართლეობის შესახებ;

დ/ ცნობა კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის და მისი ოჯახის წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერის არსებებოს თაობაზე;

ე/ ცნობა კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის და მისი ოჯახის წევრის ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ;

ვ/ ამონაწერი კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის და მისი ოჯახის წევრის სოციალური მომსახურების სააგენტოდან განახლებული სოციალური ქულების შესახებ.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, ირაკლი ქარქაშაძემ.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი